სახე შენი

სახე შენი მემახევა, მებადა,
სრულ განმძარცვა რაცღა ცნობა მებადა.
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,
მღერად ოხრვა, ლხინად გლოვა მებადა.

მე მოგმართე შენ მკურნალად დანაგულს,
შენ წამლის წილ მყის მომაპყარ დანა გულს.
ზილფნი რყევით, უარის-თქმის მსახენი,
მიჩვენებდენ ბალახშის კარს დანაგულს.

გული ჩემი მუჯამარი ახალი,
სურვილს აკმევს სიყვარულის, ას, ალი!
არ ვიკვირვო, მაშა რა ვჰყო ბედ-კრულმან,
იგი გტრფობდა, შენ მახვილი ახალი!

რა მეხშირა შენთა ისართ მალება,
მეტმან ცრემლმან ლაჟვარდის ფერ მალება;
გლახ პყრობილი ამას ვაებს, ვალალებს,
ვერ განერა, ესრედ ვითაც მალ ება.